



საინფორმაციო ბიულეტენი

ერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში

გამოცემა I

10 ოქტომბერი, 2000

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენის მიზანია საზოგადოებას და საინფორმაციო საშუალებებს აცნობოს საქართველოში ს.ს.ფ-ს საქმიანობის, მისიების მსვლელობის და დღის განრიგის შესახებ. საინფორმაციო ბიულეტენის პირველი გამოშვება მოკლედ მიმოიხილავს ოქტომბრის თვეში დაგეგმილ სამ მისიას: აქედან ორი ტექნიკური დახმარების მისიაა (საბაჟო სისტემის რეფორმა და საბანკო საკითხები) ხოლო მესამე II ევროპული დეპარტამენტის მისია, რომელიც 17 ოქტომბერს ჩამოვა.

მეორე ევროპული დეპარტამენტის მისია

მისია ბ-ნი დევიდ ოვენის ხელმძღვანელობით თბილისს ეწვევა 17-27 ოქტომბერს. იგი განიხილავს ეკონომიკის უახლეს მიმართულებებს, 2000 წლის შესწორებული ბიუჯეტის შესრულებას, გამართავს მოლაპარაკებებს 2001-2003 ეკონომიკური პროგრამის შესახებ, რომელიც შეიძლება მხარდაჭერილი იქნას ახალი ფინანსური დახმარებით სილატაკის შემცირების და ეკონომიკური ზრდის კრედიტის ფარგლებში. ახალი პროგრამა ხელს შეუწყობს ფართო მასშტაბიანი რეფორმის გატარებას, რომელსაც ამჯამად საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს სილატაკის შემცირების კონტექსტში. ს.ს.ფ.-ს მიერ ფინანსურად მხარდაჭერილი ახალი პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირეულ კომპონენტებს:

- ძლიერი და დამაჯერებელი ფინანსური პროგრამა, დაფუძნებული არსებით ფისკალურ გარდაქმნებზე; 2000 წელს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის დამაკმაყოფილებელი შესრულება;
- სტრუქტურული რეფორმის პროგრამა მიმართული მმართველობის ფისკალური ასპექტის გაუმჯობესებაზე, მათ შორის ხაზინის რეფორმა და საბიუჯეტო სფეროში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

- საბანკო სისტემის გაძლიერების სტრატეგია;
- ბიუჯეტის სათანადო საგარეო დაფინანსების გარანტია.

საბაჟო რეფორმის დახმარება

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის თხოვნით, ს.ს.ფ-ს მისია, ფრანსუა კორფმატის ხელმძღვანელობით, ოქტომბერი 11-19, (ს.ს.ფ-ს ფისკალურ საქმეთა დეპარტამენტიდან) იმუშავებს საბაჟო დეპარტამენტის მართვის და საქმიანობის გაუმჯობესების სტრატეგიაზე. მისია განიხილავს საბაჟო სისტემის რეფორმისათვის გატარებულ ღონისძიებებს, მათ შორის ს.ს.ფ-ს 1996 წლის მისიის მიერ დატავებული რეკომენდაციების შესრულებას.

მონეტარული სფეროს დახმარება

საქართველოს ეროვნული ბანკის თხოვნით, ტექნიკური დახმარების მისია, ოქტომბერი 11-19, იან მაკართის ხელმძღვანელობით ყურადღებას გაამახვილებს კომერციული ბანკების საბანკო ზედამხედველობასა და ლიკვიდაციაზე, მონეტარულ ოპერაციებზე, საერთაშორისო რეზერვებსა და სხვა საკითხებზე რომელთა განხილვასაც ეროვნული ბანკი ისურვებს. მისიის შემადგენლობაში შევლენ ს.ს.ფ-ს ადგილობრივი ექსპერტები: ბ-ნი ფიში

(საბანკო ზედამხედველობა) და ბ-ნი
ტომსონი (მრჩეველი საბუღალტრო
აღრიცხვის სფეროში). მიმდინარე მისია
წარმოადგენს იმ ტექნიკური დახმარების

გაგრძელებას რომელსაც ს.ს.ფ. ეროვნულ
ბანკს უწევს 1994 წლიდან.

ს.ს.ფ. მუდმივი წარმომადგებლობა საქართველოში
სახელმწიფო კანცელარია, ინგოროყვას ქუჩა 7, ტელ: 986752/936601,
წ/წ. იმფგეორგია.ცაუცასუსნეტ